2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში			
ამოცანა	**პასუხისმგებელი პირები/შემსრულებელი**	**შეფასების ინდიკატორები**	**შედეგები**
სასწავლო პროცესის მონიტორინგი, შედეგების შეფასება და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა	რექტორი; სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი; ხარისხის მართვის სპეციალისტი	სასწავლო წლის ბოლოს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ჩატარებული გამოცდები; შედეგების მონიტორინგის და ანალიზის ფორმები; სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების მიზნით ჩატარებული მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა რელევანტური წესით გამოკითხვა	სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა გამოცდები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე; მომზადდა გაამოცდების შედეგების შეფასების ანგარიში; ორივე სემესტრის ბოლოს განხორციელდა მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების მონიტორინგი; გამოვლინდა ძლიერი და სუსტი მხარეები სწავლა-სწავლების პროცესში; ჩატარდა მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთ რელევანტური წესით გამოკითხვა; გაანალიზდა გამოკითხვის შედეგები და მომზადდა რეკომენდაციები.
სასკოლო სასწავლო გეგმის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ან/ და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან	რექტორი; ხარისხის მართვის მენეჯერი; სასწავლო პროცესების მენეჯერი; სამუშაო ჯგუფი; საგანობრივი კათედრები.	რექტორის ხელმძღვანელობით სამუშაო ჯგუფის სხდომები; კათედრებთან და სასწავლო პროცესების მენეჯერთან ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ კოორდინირებული შეხვედრები; სამუშაო	რექტორის ხელმძღვანელობით ჩატარდა სამუშაო ჯგუფის სხდომები; განისაზღვრა სასკოლო სასწავლო გეგმის განახლებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან

შესაბამისობაში მოყვანა		ჯგუფის მიერ განსახორციელებული ცვლილებების თაობაზე ანგარიშების მომზადება.	შესაბამისობაში მოსაყვანად განსახორციელებელი აქტივობები; მომზადდა სამუშაო ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშები; ჩატარდა საგნობრივი კათედრების სხდომები, რომლებც მიზნად ისახავდა კურიკულუმების განვითარებას.
მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით წამახალისებელი მექანიზმების დანერგვა-განხორციელება	რექტორი; სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი; კლასგარეშე ღონისძიებების მენეჯერი; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.	სემესტრის ბოლოს და სასწავლო წლის ბოლოს აკადემიური მიღწევების, დისციპლინისა და კლასგარეშე ღონისძიებებში ჩართულობის მიხედვით გამოვლენილი რეიტინგული მოსწავლეები; ფინანსური წახალისება; ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მეორე და მესამე ტურში გადასული მოსწავლეების ფინანსური წახალისება; შიდა სასკოლო ღონისძიებებში მონაწილე მოსწავლეების წახალისება სიმბოლური პრიზებით (სიგელები, დიპლომები, თასები, წიგნები და გასვლითი ღონისძიებები); კლასგარეშე ღონისძიებებში აქტიურად ჩართული მოსწავლეების/წარმატებული კლასის გაგზავნა საპატრიარქოსთან არსებულ ფონდ ,,ლაზარეს" მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო ბანაკებსა და ექსკურსიებზე; მოსწავლეთა	სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს გამოვლინდნენ რეიტინგული მოსწავლეები, რომლებსაც დაუფინანსდათ სწავლის გადასახადის 50%; ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მეორე და მესამე ტურში გადასულ მოსწავლეებსა და მათ პედაგოგებს გადაეცათ ფულადი ჯილდო; სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებულ ღონისძიებებში მოსწავლეებს გადაეცათ სიმბოლური პრიზები: სიგელები, დიპლომები, თასები, წიგნები და გასვლითი ღონისძიებები;

		გაგზავნა საპატრიარქოს მიერ დაფინანსებულ თრუსოს ხეობის ბანაკში;	მოსწავლეები იმყოფებოდნენ ფონდ ,,,ლაზარეს“ მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო ბანაკში, სომხეთში და საპატრიარქოს მიერ დაფინანსებულ თრუსოს ხეობის ბანაკში.
დიფერენცირებული სწავლების დანერგვა	მასწავლებლები; კათედრის თავჯდომარეები; სასწავლო პროცესების მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი	მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების გათვალისწინებით გამოყენებეულია მრავალფეროვანი რესურსები და სტრატეგიები; კოლეგების მიერ გამოცდილების გაზიარება; მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა შეფასების სხვადასხვა მეთოდებით; მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში;	სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულ იქნა მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული მრავალფეროვანი რესურსებისები და სწავლა-სწავლების უახლესი სტრატეგიები; დაინერგა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები.
გიმნაზიაში დასაქმებული ადამიანური რესურსების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაში ხელშეწყობა	რექტორი; სასწავლო პროცესების მენეჯერი; ფინანსური მენეჯერი; კლასგარეშე ღონისძიებების მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი.	გამოცდილების გაზიარება კათედრის სხდომებზე; სკოლის ბაზაზე ტრენინგების ორგანიზება; კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებზე გაგზავნა; მეთოდური მასალის მიწოდება; დოქტორანტურის სწავლის გადასახადის თანადაფინანსება; პერსონალის საჭიროების შესაბამისი ტრენინგების დაფინანსება.	საგნობრივი კათედრების სხდომებზე პედაგოგები უზიარებდენ საკუთარ გამოცდილებას, ღია გაკვეთილებზე პედაგოგები იყენებდნენ ურთიერთშეფასების მექანიზმებს და ერთმანეთს აძლევდნენ განმავითრებელ შეფასებას.
პედაგოგების მოტივაციისა და პრაქტიკის	რექტორი; სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი; ფინანსური	დირექციის მიერ საჭირო რესურსებით უზრუნველყოფილია	ბიუჯეტიდან გამოიყო საჭირო ფინანსური რესურსი

გაუმჯობესების ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვა-განხორციელება	მენეჯერი; კლასგარეშე ღონისძიებების მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი.	პედაგოგების მიერ ინიცირებული აქტივობები; გამოცდილების გაზიარების მიზნით მოწვეული სხვადასხვა დარგის სპეციალისტები; სასწავლო წლის ბოლოს ნომინირებული წარმატებული პედაგოგი და წარმატებული დამრიგებლი; ნომინირებული პედაგოგების წახალისება სერტიფიკატებითა და ფულადი პრიზიებით.	საგანმანათლებლო პროექტებისთვის; ჩატარდა სემინარები გიმნაზიაში მოწვეული დარგის ექსპერტების მიერ; გამოვლინდა წარმატებული პედაგოგი და დამრიგებელი, რომლებსაც გადაეცათ სერტიფიკატები და ფულადი პრიზი.
ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა	რექტორი; ხარისხის მართვის მენეჯერი; სამუშაო ჯგუფი; სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი; კათედრის თავჯდომარეები.	შექმნილია სამუშაო ჯგუფი; უზრუნველყოფილია ჯგუფის კოორდინირებული მუშაობა; შევსებულია სტანდარტებთან შესაბამისობის ფორმა; უზრუნველყოფილია მონიტორინგისა და შეფასების პროცესი;	ჩატარდა სამუშაო ჯგუფის სხდომები ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით; განხორციელდა სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება; განხორციელდა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის ფორმის შვსება.
ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სასწავლო ფლიგელების კოსმეტიკური რემონტი	რექტორი, სამეურნეო მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი	ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დასრულებული კოსმეტიკური რემონტი	განხორციელდა სასკოლო ფლიგელებისა და საკლასო ოთახების კოსმეტიკური რემონტი.
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება- განახლება	რექტორი; სამეურნეო მენეჯერი; ფინანსური მენეჯერი.	გიმნაზიის მიერ შეძენილი/განახლებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი	გიმნაზიამ შეიძინა განახლებული კომპიუტერული ტექნიკა სასწავლო პროცესის ეფექტურად

			ორგანიზების მიზნით.
წიგნადი ფონდის შევსება-განახლება გიმნაზიის ბიბლიოთეკაში	რექტორი; ფინანსური მენეჯერი	საჭიროების შესაბამისად შეძენილი წიგნადი რესურსი	ბიბლიოთეკა შეივსო მხატვრული ლიტერატურის განახლებული წიგნებით.
გიმნაზიის ვებგვერდის ეტაპობრივად განახლება და ინფორმაციის განთავსება	რექტორი; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; IT სპეციალისტი; კლასგარეშე მუშაობის მენეჯერი.	გიმნაზიის განახლებული ვებგვერდი	განახლდა გიმნაზიის ვებგვერდი და სიახლეების ველი.
სკოლის შენობა-ნაგებობების კაპიტალური შეკეთება	რექტორი; სამეურნეო მენეჯერი; ფინანსური მენეჯერი	გარემონტებული სააქტო დარბაზი	გარემონტდა გიმნაზიის სააქტო დარბაზი.
მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება	სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი; დირექტორი; ფსიქოლოგი; მშობელი.	გიმნაზია ეფექტურად რეაგირებს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მშობლის, ფსიქოლოგის და მოძღვრის ჩართულობას.	გიმნაზია უზრუველყოფ მოსწავლის უფლებების დაცვას შესაბამისი შიდა რეგულაციებით; გიმნაზიაში მოქმედებს მოძღვრის ინსტიტუტი: გიმნაზიის რექტორი, რომელიც ამავდროულად, მოძღვარია, საჭიროების შემთხვევაში ესაუბრება მოსწავლეებს და უზრუნველყოფს მათ მხარდაჭერას; სკოლაში მუშაობს ექიმი და ფსიქოლოგი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დროულად

			რეაგიებს; სკოლას ჰყავს კვალიფიციური დაცვის სპეციალისტი, რომელიც ოპერირებს სკოლის სივრცეში და უზრუნველყოფს მოსწავლეთ უსაფრთხოებას;
მოსწავლეთა მხარდაჭერა პროფორიენტაციის ჩამოყალიბების მიზნით	რექტორი; სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი; კლასგარეშე ღონისძიებების მენეჯერი; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი.	სკოლა-გიმნაზია იწვევს სხვადასხვა დარგის სპეციალისტს და უზრნველყოფს მათ ინტერაქციულ შეხვედრას მოსწავლეებთან.	გიმნაზიამ უზრუნველყო დარგის სპეციალისტების მოწვევა და სემინარების ორგანიზება, რომლებიც შეეხებოდა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მიმართულებებს.
მოსწავლეთა თვითმმართველობის შექმნა და მხარდაჭერა	სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი; დირექტორი; კლასგარეშე ღონისძიებების მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი.	გიმნაზიის მიერ ორგანიზებული თვითმმართველობის არჩევნები; თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარებული პროექტები.	თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით ჩატარდა საინფორმაციო კამპანია; ონლაინ ფორმატში ჩატარდა არჩევნები დემოკრატიული პრინციპების დაცვით; თვითმმართველობის ორგანიზებით სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელდა პროექტები და აქტივობები.